ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო

ხუთშაბათი
17 მარტი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი შრიფტით პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 312 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 312

ტელეფონი № 76.

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მიჩნევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის
ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ
„სამშობლო“-ზე
ქ. ქუთაისი. წელიწადი მეორე. ქ. ქუთაისი.
გაზეთი გამოვა
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.
წლიურათ გაზეთი ღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ. ცალკე ნუმერი 5 კ.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო“

ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოდპოლკოვნიკი

სარდიონ გიორგის ძე წერეთელი,

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები: ალექსანდრე სარდიონის ძე წერეთელი, კნ. ოლღა სარდიონის ასული ხიდირბეგიშვილისა, ალექსანდრა სარდიონის ასული შაშკოვსკისა და ლუბა სარდიონის ასული კიკნაძისა, შვილიშვილები: ნინო ჯაფარიძისა, ნინო წერეთლისა, ევგენია, ნინო და შურა წერეთლები; თ-დი ივანე ხიდირბეგიშვილი და სიძეები: ბიკტორ ქუთათელაძე, სერგე კიკნაძე, პოლკოვნიკი ივანე ჯაფარიძე და სოლომონ წერეთელი

პანაშვიდი საღამოს 6 საათზე. გამოსვენება 17 მარტს, ხუთშაბათს, დღის 4 საათზე, საკუთარი სახლიდან კაზაკოვის ქუჩა. 3—3—95

უზომოთ დამწუხრებულნი მამა იოსებ კონსტანტინეს ძე, დედა ოლღა ვახტანგის ასული, ბებია მატა ლევანის ასული და ივლიტე მოსეს ასული, ბიძები: ივანე, მიხეილ და სვიმონ კონსტანტინეს ძენი მდივნები, ბიცოლები: ნადეჟდა სპირიდონის ასული, ნინო სამსონის ასული, ძმები: კოწია და პეტია იოსების ძენი მდივნები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და ამხანაგთ, რომ ამა 15 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე გარდაიცვალა

პიმენ (ბუჭუა) იოსების ძე მდივანი.

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე, მესხეთის ქუჩა, საკუთარი სახლი. გამოსვენება დანიშნულია პარასკევს 18 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე. დაკრძალვა მოხდება სოფელ ბაკისუბანში 96 2—1

უზომოთ დამწუხრებულნი მეუღლე სარა ოქროპირის ასული შვილებით, დედა სელო რონიშვილისა, ძმები: ივლიანე და ბიქტორი, დები: ივლიტე ჭუმბურიძისა, ლიზა მარჯანიშვილისა, კატო გურუშიძისა და ნიფადორა მარჯანიშვილისა; ძმისწული: პრაპორშჩიკი ნიკოლოზ რონიშვილი და დისწული სიმონ მარჯანიშვილი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

მინა ნიკოს მის რონიშვილის

უდროოთ გარდაცვალებას ქ. მოსკოვში.
დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. 1—1—97

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
[illegible] ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების [illegible] დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი თ.

ექიმი ი. **ჩარიძოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა [illegible] ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ. [illegible] 6—8 საათ. მისამართი: ლგვაშოვი ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის № 46, ტელეფონი № 87. თ.

მასაჟით სამ. კურნალო **კაბინეტი**
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი, თ 8

აბრეშუმის თესლი.

უკვე შემოზიდულია საფრანგეთიდან და მიღებული თბილისის საბრეშუმო სადგურში. თესლი ყვითელი აბრეშუმისაა, უკეთესი ხარისხის, უკვე ცნობილი კავკასიაში და განკვე გამოგზავნილი საქართველოში გასავრცელებლათ. თესლით მოვაჭრეთ ვსთხოვ: თბილისში მომმართონ პირდაპირ მე (სასტუმრო ორიენტი) და თბილისის გარეთ ჩემს წარმომადგენლებს, ქუთაისში ფილიპე ნიკოლოზის ძე ჭელიძეს, აბაშაში იოსებ გეგენავას და ბათუმში ამბაკო ნადარეიშვილს.

საფრანგეთის მეაბრეშუმეთ წარმომადგენელი, გამოგზავნილი საფრანგეთის მართებლობის მიერ ვალდიშ კოსერი.
92 თ.

ს./ს. ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში
ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ
მივიღეთ ცნობილი აბრეშუმის თესლი
ხ. ხრისტოდულიდის.
მისამართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის,
თ. დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60

განცხადება.

კვირას, 20 მარტს, ალექსანდროვის ქუჩაზე, ბოკერიას შენობაში, სათავად-აზნაურო ქალთა კომიტეტი ხსნის ომის გათავებამდე, დამშეულთა და სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახების სასარგებლოთ

საჩაიე კაფეს „ძმური დახმარება“,

სადაც დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

სტუმრებს გაუმასპინძლდებიან ქუთაისის საზოგად. ცნობილი ასულნი

ექიმი მულინი. ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა, თბილისის ქუჩა, № 70. სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

ექიმი ა. მ. ახათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, 11 სახლი № 2. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

რიგის ნაწილში საარტილერიო სროლაა, იკსკულის მიმართულებით ჩვენი არტილერია მტერს მარჯვეთ უშენდა. იაკობშტადტის ნაწილში გერმანელებმა, მძაფრი არტილერიის შემდეგ, ვარგუნეკის შემოტევა დაიწყეს, მაგრამ უკუგდებულ იქნენ სამხრეთ-დასავლეთით პოსტავიდან მტერი დიდ წინააღმდეგობას გვიწევდა. იგი ბევრ ადგილებში შემოტევაზეც გადმოვიდა. ტბა ნაროჩის დასავლეთით მტერმა დაიკავა ტყე მაკრიცის სამხრეთით, მაგრამ ჩვენ გავდევნეთ იქიდან. წავართვით ორი ტყვიის მფრქვეველი და რამდენიმე ტყვეთ წამოვიყვანეთ.

გალიცია. ბოიანის სამხრეთით ჩვენ ორჯერ აფეთქება მოვახდინეთ, სადაც დავიკავეთ ნაღმის აფეთქებისაგან გაკეთებული 13 თხრილი; მცველების უმეტესობა ამოვჟლიტეთ. ერთი კადეტი და 126 ჯარის კაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ ვიხელთეთ ორი ტყვიის მფრქვეველი. რამდენიმე მტრის მძიმე იარაღი თავის ადგილზევე გავაფუჭეთ. მიუხედავათ ცუდი ამინდებისა, ყველა ფრონტზე ბრძოლა იყო გაჩაღებული და ჩვენი ჯარის კაცები სასახელოდ ასრულებდენ თავის მოვალეობას.

შავ ზღვაზე.

ჩვენმა ნაღმოსნებმა ანატოლიის სანაპიროებთან მოსპეს 15 ტყვია ნაღმით დატვირთული გემი, რომელნიც ცარგრადის მიდიოდენ. გაანადგურეს აგრეთვე ხმელეთით ორი ხიდი და სამხედრო მასალების საწყობები.

კავკასიის ასპარეზი.

მტრის მედგარ წინააღმდეგობის დროს, რუსებმა წინ წაიწიეს და შავი ზღვის კიდეზე მდინარე ბალთაჩთან ქ. ოფი დაიკავეს. დალამებისას სასტიკათ გვიტევდენ, რომელთაც ჩვენ სწრაფათ ვიგერიებდით.

ქ. ბითლისის ჩრდილო აღმოსავლეთით 12 მარტს ჩვენ ბრძოლით ავიღეთ დაბა რიზანი ამ დაბის მცველი ოსმალები გარბიან.

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გერმანელების შიშ ქვეშ.

ლონდონიდან დეპეშით იუწყებიან, რომ იქ ბევრი დარწმუნებულია მალე გერმანელები ინგლისის აღმოსავლეთ ნაპირებზე გადასხამენ ჯარს.

ევროპა პრესის მითქმა-მოთქმა.

საფრანგეთის პრესა, ,,რეჩის'' გადმოცემით, აღნიშნავს იმ გასაჭირს რომელშიაც ვითომ ჩავარდენ გერმანელები რუსეთის ჯარის ამოძრავებით. ამავე დროს ჰოლანდიური გაზეთები სწერენ: გერმანელები აუარებელ ძალებს უყრიან თავს ახლა ფლანდრიაში (ბელგიაში), ანტვერპენი ახალი ჯარებით გაავსეს, ფიქრობენ, რომ გერმანელები ამ ფრონტზე ახალი შეტევის დაწყებას აპირებიანო.

სხვა მხრიდანაც იმუქრებიან.

სალონიკიდან იტყობინებიან, რომ ბულგარეთის ჯარების მთავარ სარდალი გენერალი ჟეკოვი მაკედონიის ფრონტზე მოვიდა, რომ სალონიკის წინააღმდეგ გალაშქრება მოამზადოსო.

რათ დაიწყეს ბრძოლა ვერდენთან.

ერთი ფრანგული გაზეთის აზრით ვერდენზე თავდასხმით გერმანელებს უნდოდათ მოკავშირეები მოექანცათ და მათი სამხედრო მასალა ამით შეემცირებიათ, რომ მათ მომავალ გაზაფხულზე საერთო შეტევის დაწყება ველარ გაებედათ. ამით გერმანია ისარგებლებდა და რუსეთის ფრონტზე თავისუფლათ იმოქმედებდა.

მოთმინებიდან გამოსული ქალები.

თუ დაუჯერებთ, საშინელ ამბებს იტყობინება კოპენჰაგენის ზოგი კორესპონდენტი გერმანელი ქალების მდგომარეობის შესახებ. მაგალითად იტყობინებიან, რომ ბერლინში პოლიციას დავალებული აქვს შპრეეს ნაპირებს თვალ ყური ადევნონ, რომ იქ ქალი არ გააკაროს, რადგან ხშირია შემთხვევა, როცა შიმშილით და მწუხარებით სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი დედაქალი მიდის ბავშვებით ხელში და წყალში ვარდება, რომ სიცოცხლეს გამოესალმოს. გერმანელი ქალები იმდენად გაბრაზებულნი არიან თურმე მთავრობის წინააღმდეგ, რომ ხშირათ სწვავენ ხოლმე ხორბლეულობის საწყობებსა და ფქვილის ბეღლებს. ყოველ მხრიდან ისმისო, ხმები სწერენ ხსენებული კორესპონდენტები, რომ გერმანიის მთავრობა უმოწყალოა და საჭიროა მისი დამხობაო.

დვინის ფრონტისთვის

,,ბირჟევია ვედომოსტის'' გადმოცემით გერმანელებმა ამ დღეებში ჰამბურგიდან ორი სამხედრო გემი მსხვილი ჩვიდმეტდიუმიანი მორტირებით შორს მსროლელი ზარბაზნები სავსე ლიბავისაკენ გაამგზავრეს, რომ ზარბაზნები დვინის ფრონტზე გადაიტანონო.

რუმინიის წინააღმდეგ.

პეტროგრადიდან იუწყებიან, რომ ამ ჟამათ ავსტრია-ბულგარეთის სამხედრო მთავრობა გერმანელებთან ერთად რუმინიის საზღვრების გამაგრებას შეუდგა. მოსაზღვრე ტერიტორიის მცხოვრებთ გამოეცხადა, რომ რუმინელებთან ყოველგვარი კავშირი შეწყვიტონ, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკათ დაისჯებიან, სიკვდილითაც კი.

ოსმალეთთან სეპარატიული ზავი შეუძლებელია.

,,ნოვოე ვრემიას'' ათენიდან ატყობინებენ, რომ დარდანელში 20,000 გერმანელი დგას და მკვიდრათაც არიან იქ გამაგრებულნი, ასე რომ რუსეთთან სეპარატიული ზავის შეკვრის საშუალებას ისინი ოსმალეთს არას გზით არ მისცემენ.

ინგლისის სამხედრო ფლოტის მსხვერპლი.

ინგლისის სამხედრო ფლოტს თებერვლის თვის ნახევრამდე სულ დაუღუპავს ზღვაში გერმანელების 50 მდე წყალქვეშა ნავი და 30 მდე სხვა გვარ ნავჭურჭელი. გერმანიის ფლოტმა კი რამდენი იმსხვერპლა?

მსოფლიო ომი.

(დღიური).

კავკასიისა და ოსმალეთ-სპარსეთის ფრონტზე რუსეთის ჯარი კიდევ წინ წავიდა: შავი ზღვის პირის ქალაქი ოფი ბრძოლით აიღო; დიდი შეტაკებები მოხდა მდ. ბალტაჩისა და დარასის რაიონებში; ოსმალთ მთელ ფრონტზე განუწყვეტელი კონტრიერიშები მოჰქონდათ, მაგრამ ვერას გახდენ ყოველთვის უკუქცეულ იქნენ: 11 სა და 12 მარტს რუსეთის ჯარი ბითლისის სამხრეთ აღმოსავლეთის მხრითაც წინ წავიდა: აქ მან აიღო დაბა ხაზანი. ოსმალნი, რომლებიც ამ დროს იცავდენ, გაიქცენ.

რუსეთისა და ავსტრია გერმანიის ასპარეზზე დაწყებული ბრძოლა ყველაზე უფრო ტბა ნაროჩის სამხრეთის ნაპირებზე გამწვავდა. აქ გერმანელებმა დაბა მოკრიცას სამხრეთით ტყე დაიკავეს: მაგრამ რუსეთის ჯარმა კონტრიერიშით ამ ტყის ჩრდილოეთ ნაწილიდან მათი გაძევება შესძლო. რიგის რაიონში ჯერ ჯერობით ორივე მხარე ზარბაზნებისა და თოფის სროლით კმაყოფილდება: რომელი მათგანი დაიწყებს აქ შეტევას, ძნელი გამოსაცნობია, ვინაიდან ყველა რაიონებში ორივე მხარე სცდილობს ბრძოლის ინიციატივა ხელთ იგდოს. იაკობშტადტის რაიონში რუსეთის ჯარის შეტევა შეწყდა, ახლა გერმანელებმა სცადეს აქ იერიშით წამოსვლა ვარგუნეკის რაიონში, მაგრამ რუსეთის ჯარმა ისინი არტილერიის ცეცხლით შეაჩერა. უფრო გაცხარებული კონტრიერიშები გერმანელებმა პოსტავის რაიონში დაიწყეს მაგრამ ვერც აქ გახდენ რასმე. ქვევით „პოლესიეს“ რაიონში ბრძოლა არ შეწყვეტილა და არც არის გამორკვეული, თუ რომელი მხარე წავიდა წინ. გალიციაში ამ უკანასკნელ დროს წინსვლა რუსის ჯარს დაეტყო: ბოიანის ჩრდილოეთით რუსეთის ჯარმა ნაღმით 13 მდე ბეგობი ააფეთქა, რის შემდეგ ქვეითა ჯარმა ავსტრიელების რამდენიმე რიგი სანგრები გადალახა: სანგრებში მოხდა ხელჩართული ომი: ბევრი ამოწყვიტეს და ბევრიც ტყვედ წამოიყვანეს.

საფრანგეთ ბელგიისა და გერმანიის ფრონტზე მოპირდაპირენი აქა იქ კვლავ თავს დაესხენ მოულოდნელათ ერთიმეორეს, მაგრამ ყველგან უკუქცეულ იქნენ, ასე რომ ორივე მხარე ერთ ადგილზე დგას; თითქმის ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა მდ. მაასის ნაპირებზე ვერდენთან. გერმანელები განუწყვეტლივ სცემენ ყოველგვარ ყალიბის ყუმბარებს ფრანგების პოზიციებს და დრო გამოშვებით იერიშით წასვლასაც ცდილობენ, მაგრამ ფრანგები მათ ისეთივე ყუმბარების სიუხვით უმასპინძლდებიან და საშუალებას არ აძლევენ, რომ პოზიციებს მიუახლოვდენ. აი ახლაც გერმანელები ეს რამდენიმე დღეა ყუმბარებს უშენენ განუწყვეტლივ ბეტენკურ მარტამ-კიუმიერის ხაზზე. მაგრამ ჯერ კიდევ წინ ვერ წავიდენ; ასევე ხდება ვო-დუომონის და ვევრის რაიონებშიაც. ძნელი სათქმელია, თუ როდემდის შეიძლება ასე გაგრძელდეს. სჩანს აქ კითხვა ყუმბარებისა და პატრონების სიუხვემ უნდა გადასჭრას: ვისაც მეტი მასალის სწრაფათ მომზადება, ფრონტზე დროზე მიტანა და დროზედვე გასროლა შეუძლია, გამარჯვებაც მას უნდა დარჩეს მაგრამ ამ მხრით დღეს ორივე მხარე თითქმის ერთნაირად არის მომზადებული. მაშ ბედი სხვა ფრონტზე უნდა გადაწყდეს. იქ, სადაც ძალთა ასეთი ერთნაირობა თანასწორობა არაა ასეთი ფრონტი კი ჩვენის აზრით მხოლოდ რუსეთის ფრონტია, სადაც ჯარის რაოდენობით ერთი მხარე სჭარბობს, ხოლო სამხედრო მასალის მხრით მეორე მსოფლიო ომის კვანძი რუსეთის შინაურ ცხოვრების კვანძთან ერთად უნდა გადიჭრას და როგორც დღევანდლამდე ამბებიდან სჩანს გადიჭრება კიდეც.

უცხოეთში საყურადღებოა ჩინეთის რევოლუციის გამარჯვება: იუანშიკაიმ დეკრეტი გამოსცა, რომ იგი რევოლუციონერებს არ ებრძვის და სურს რესპუბლიკა აღადგინოს ამაზე რევოლუციონერებმა შემდეგი მოთხოვნით უპასუხეს: პრეზიდენტობას თავი დაანებოს და მეთაური მონარქისტები სამართალში მისცეს

ქრონიკა

რუსეთი.

განხეთქილება გაერთიანებულ თავად-აზნაურთა საბჭოში.

ამ დღეებში ა. ი. სტრუკოვის თავმჯდომარეობით გაერთიანებულ თავად აზნაურობის საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელზედაც ახლო მომავალში საერთო ყრილობის მოწვევის საკითხი უნდა გარკვეულიყო. საბჭოს უმრავლესობამ ყრილობის წინააღმდეგი აზრი გამოსთქვა და ამტკიცებდა, რომ ბევრი თავადი ბრძოლის ველზეა წასული და ომის საქმეებში გართული, ამიტომ ყრილობა მოუხერხებელი იქნებაო. უმცირესობა კი დაუყონებლივ მოწვევას მოითხოვდა. თვითონ სტრუკოვი ამტკიცებდა, რომ ახლა პოლიტიკური მომენტის ყრილობის მოწვევას არ მოითხოვს და მთავრობაც სხვა თვალით უყურებს ასეთ საზოგადო ყრილობებსო. კრებამ დაადგინა, რომ ყრილობა მაისისათვის მოიწვიოს საბჭოს საქმეთა მწარმოებელმა ბ-ნმა პანჩულიდზევმა (თუ პანჩულიძემ?) სტრუკოვის წერილის გაცნობის შემდეგ, რომლითაც იგი საბჭოდან გასვლას აცხადებდა, თვითონაც განაცხადა, რომ იმ დადგენილებისა გამო, რაც ახლა ყრილობის შესახებ სხდომამ გამოიტანა, საბჭოში დარჩენა არ შემიძლია და ჩემს მაგიერი კაცი, ვინც გნებავთ ის მოიწვიეთო.

მოსკოვის ყრილობები.

მოსკოვის ყველა გაზეთებში აღნიშნენ, რომ ამ ჟამათ მოსკოვში გამართული ყრილობები მეტათ უსიცოცხლოდ ტარდება: ის თავის რადიკალობით და ენერგიით წარსული წლის სექტემბრის კრებებს მხოლოთ მოგვაგონებს და მეტი არაფერი. კრებას რაღაც ნაირი უგულობა, უენერგიობა და მოშლა ეტყობა. ალბათ მათის აზრით, გრანდიოზულ ისტორიულ ამოცანა რომლის წინაშეც დღეს რუსეთი დგას თავზარსა სცემს და გონს უკარგავს. მოსკოვის ქალაქის თავი, ჩელნოკოვი კრებაზე, სხვათა შორის, ამბობს „ჩვენ სამუშაოთ ვართ მოსული, სთქვა ორატორმა,

კრება გუნებაზე მოიყვანა და ისევ აალაპარაკა თბილისის ქალაქის თავმა, ხატისოვმა, რომელიც ცნობილია თავისი „ლამაზი მჭერმეტყველობით“ იგი უმთავრესათ კავკასიელების სეპარატისტებს შეეხო და „ფიცით მტკიცით“ აღიარა, რომ ეს ტყუილია, რომ რუსეთისაგან გაშორება კავკასიას დაღუპავს და სხვა.. კრება ამ სიტყვებმა აღტაცებაში მოიყვანა და ორატორი მქუხარე ტაშის კვრით დააჯილდოვეს.

ისევ ძველმა ოპოზიციონერმა, ორატორმა ასტროვმა გაახსენა შარშანდელი ყრილობის რეზოლუცია და კრებას წარუდგინა დასამტკიცებლათ ზოგიერთებმა რეზოლუციაში შესწორება შეიტანეს, მაგალ. ჩაუმატეს „ამნისტია“ და „ერების დევნა სასტიკათ გაკიცხეს .

ასეთივე ხასიათის აღმოჩნდა ერობების წარმომადგენელთა ყრილობაც. აქაც იგივე გულგრილობა, მოშლილობა და უენერგიობა გამოიყურება. საზოგადო კითხვებზე კამათი თითქმის არც გაუმართავთ და რაც ითქვა ისიც მოღუნებულად და უსიცოცხლოთ ჩატარდა

ერობათა ყრილობის რეზოლუცია.

რეზოლუციაში, სხვათა შორის, სწერია: „ომი ბოლომდე უნდა მივიყვანოთ; თუმცა რუსეთს დღეს დიდი საფრთხე მოელის გარედან და შინაც იგი მეტათ გამოურკვეველ მდგომარეობაშია. ნახევარი წლის წინათ ამბობდენ, რომ განახლებული მთავრობა შესძლებს ქვეყანა იხსნას და დიდებული მიზნები განახორციელოსო. გავიდა ნახევარი წელიწადი და მთავრობაც ძველია და ჩვენი სიტყვებიც იგივეა.

ქართული პრესა.

როგორც მოსალოდნელი იყო, „მეგობარმა“ ყური მოუყრუა და ჩვენ შეკითხვაზე ბ-ნ პეტრე ყიფიანისა და სხვა ფედერალისტებისგან ბ-ნ ვ. წერეთლის შეურაცხყოფისა გამო 12 მარტის კრებაზე, პირდაპირი პასუხის მაგიერ, რაღაც აბდაუბდას მოჰყვა. საბრალო აღდგომის კრავები! თითქოს ვერ მიხვდენ, რასაც ვეკითხებოდით!?..

რაც შეეხება „მეგობრის“ დარიგებასა და ნოტაციებს ჩვენდამი მომართულს, უმჯობესი იქნება ასეთი ნოტაციები თავის საკუთარ რედაქციას წაუკითხოს.

სახელმწ. სათათბირო.

თავჯდომარეობს **როძიანკო** შემდეგ **ვარუნ-სეკრეტი.**

განსახილველ საკითხთა შორის წამოყენებულია შეკითხვა საკანონმდებლო დაწესებულებების შესახებ, რომ პოლონელები განთავისუფლებულ იქნან დღეს არსებულ კანონთა მიხედვით შეზღუდვისაგან.

რადჩკოვსკი ლაპარაკობს ომის გაჭიანურებაზე და მიუთითებს წამოყენებული საკითხების მოწესრიგებაზე. პოლონელთა მოქალაქეობრივი უფლების გათანასწორება ერთ საყურადღებო საკითხად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან პოლონელთა განთავისუფლებას ექნება სათათბიროსთვის მორიგი მნიშვნელობაო. შემდეგ ლაპარაკობს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი თ დი **ვოლკოვსკი,** რომელმაც აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო შეიმუშავებს კანონპროექტებს პოლონელების მიმართ (ტაშის ცემა).

გრძელდება სახალხო განათლების სამინისტროს მოქმედების განხილვა. ბოლდანოვი აცხადებს, რომ კიევის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი დერევიცკი მეტად არა კანონიერად იქცეოდა თავის მოვალეობის შესრულების დროსო.

გურევიჩი კითხულობს, თუ რა გვარი ზომები უნდა იქნას მიღებული ებრაელთა მიმართ უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შესახებ, სადაც ადგილი ცოტაა

ჩიხაჩევი აღნიშნავს დასავლეთის მხარეში უნივერსიტეტ ნა გადაწყდეს. შემდეგ ორატორი აღნინავს, რომ უმაღლესი სასწავლებე დიდათ ესაჭიროება ლიტვას, რომლის დიც ისტორიულად რუსეთთან განუყ ლიაო. მარკოვი მეორე აღნიშნავს, რომ რ სეთის უმაღლეს სასწავლებლებში, ი ლება 80—80 პროცენტი ებრაელი, გამოც სასწავლებლები დიდ უბედურ განიცდიან. უცხოელი მედიკები გამ დებზე მოსვლის უფლებას პოულობ სათანადო მოწმობას საშუალო სასწავ ლების დასრულების შესახებ არ აღგენ გერმანიაში—კი ჩვენებს გერმანელ ხელწერილს ართმევენ, რომ სამედიც ფაკულტეტის დასრულების შემდეგ იგ გერმანიაში არ აწარმოებენ პრაქტ ამრიგათ საზღვარგარეთ ნასწავლი ჩვ ექიმები ჩვენთვის არაფერი გამოსადე არ არიან ჩვენი განათლების მინის უცხოელებით ავსებს უნივერსიტეტებ მაგალითად, იურიევის უნივერსიტეტ არის მხოლოდ 40 ქრისტიან ებრაელ სჯულისა—კი 360 ეს ერთგვარ კ დის ქმნის, ვინაიდან ებრაელ სტუდ ტებს გამოცდა უნდა დაუნიშნონ სწ ლის დაწყებამდე და სასწავლო წიგ მიღებამდე. ჩვენი საზღვარგარეთ სტუდენტები შედიან პირველად ლოგიურ ინსტიტუტში, რომელში შე ლასაც არავითარი ცენზი არ სჭირდ მათ საზღვარგარეთ მიღებულ ცოდნას ინსტიტუტებში მხედველობაში იღებ შემდეგ სტუდენტები გადადიან საიმპე ტორო უნივერსიტეტებში. მარკოვს ვის სიტყვა არ დაუმთავრებია. მარკ განაცხადა, რომ შემდეგ იგი უფრო აშუქებს ამ საკითხს, მხოლოდ მას ს როდ მიაჩნია გამომძიებელი კომისიის შე გენა, რომელმაც რევიზია უნდა გა თოს განათლების მინისტრის გრაფ ი ტიევის მოქმედებას.

მორკოვის წინადადებას ცენტრში მარცხნით თანაგრძნობით მიეგებენ მ კოვ მეორის ბრალდების შესახებ საზღვ გარეთელ სტუდენტების უდიპლომოებ გრაფი იგნატიევი აცხადებს: 479 სტუ ამტკიცებს, რომ დოქტორის დიპლო უდრის იმ მოწმობას, რომელიც ეძლ გამოცდაზე გაშვებულ მკურნალს, რო მელიც შეტანილი იყო სენატში გან ხილველად. საზღვარ გარეთელი დიპლ მები უნდა გაუთანასწორდენ ჩვენ კუ დამთავრებულთა ჟურნალების მოწ ბებს. რაც შეეხება იმას, რომ პსიქ ლოგიურ ინსტიტუტთან სტუდენტ იღებენ საიმპერატორო უნივერსიტეტებ ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ს

აგარაკზე.

(ესკიზი).

,,არ ვიცი, იმისი ბრალია, რომ დღეს ავ გუნებაზე ვარ, თუ ეს ჩემი წინაგრძნობაა—მე მგონია, ისე მოვკვდები, რომ, პოეტის თქმისა არ იყოს, ერთხელაც ვერ შევსდგე ტრფობის მთაზედა....

რა მინდა, რა, ამ მიყრუებულ მხარეში? ვის, ან რას ვემსახურები—მეთქი? ხმამაღლა წამოვიძახე ერთ დღეს, როდესაც, ერთის საქმის გამოკეთების მოლოდინში, გულგაწყალებული მორგვივით დავეშვი ზღვის პირას გაკეთებულ ხის სკამზე და მიდამოს წყრომით თვალი შემოვავლე.

ეს მოხდა ერთს სახელგანთქმულ აგარაკში.

— რას ოცნებობ, ჩემო მეგობარო? შემომესმა მხიარული ხმა ერთის ჩემის ნაცნობისა, რომელიც შეუმჩნევლათ თავზე წამომდგომოდა ეს გახლდათ ბ-ნი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე დო, რუსეთში გაზდილი ავსტრიელი, ავეჯების მკეთებელ ერთის დიდის ქარხნის წარმომადგენელი.

მე იგი აქ, აგარაკზე, გავიცან, არავითარი მეგობრული დამოკიდებულება მასთან არა მქონია, მაგრამ, რადგანაც მეც ერთის საკომერციო დაწესებულებისაგან ვიყავ ამ აგარაკში გაგზავნილი, ბ-ნი დო თავის მეგობარს და ,,კოლეგას'' მიძახდა. აშენოს ღმერთმა იმის ოჯახი, რომ იმ გლახა გუნებაზე გამომიჩნდა, მთელი საღამო გამართო და შუაღამემდის კი ამ ამბის წერას მოუნდი....

დრო აღარ დამირჩა გულ ამრეზით მეფიქრა ჩემს ყოფნაზე....

მეტის მეტი მხიარული და უდარდელი კაცი იყო ბ-ნი დო. თავის დღეში არ დამავიწყდება მისი ოხუნჯობა, ენა-მახვილობა.

— მაინც რას ჰფიქრობ? კვლავ შემეკითხა ბ-ნი დო.

რას უნდა ვფიქრობდე, მომწყინდა აქ ყოფნა.... ჩემი სული და გული მიფრინავს შორს, ზღვის იქით, სადაც მყავს თვისი, ტომი, ამხანაგი და მეგობარი, სადაც ათასში ერთი მაინც გამოერევა ნამდვილი ადამიანი....

— მე მაგისთანებისა არა მესმის—რა! ღიმილით მითხრა ბ-ნმა დომ, მაგრამ ადამიანს რაკი ის გლახა ჩვეულება აქვს, რომ ყოველდღე თუ არა, ორ დღეში ერთხელ მაინც ისადილოს, იძულებულნი ვართ ყველაფერი მოვითმინოთ. .. ღვთის წინაშე მეც კი მომბეზრდა აქ ყოფნა—განაგრძო მცირეოდენის ფიქრის შემდეგ დომ—მთელი ქვეყანა შემომივლია და ისეთი უქნარა, ცრუ და ყბედი ხალხი არ მინახავს, როგორიც აქაური უფროსები არიან. ბატონო, გაგონილა საქმის ასე გაჭიანურება? ოთხი თვეა, აქ ვარ და ჯერაც ვერ მეღირსა მაგათგან ფულის მიღება აქ რაღაც ბოლდიხანური წეს-წყობილება ყოფილა მისი მაღალ-ყოვლად კეთილ-ღმატებულება— კრასნოკოჟოვი სწორედ პატარა ხელმწიფეა. ნეკრესის ქარებით დახუთულს და ნაჩუქარის მამულით გადიდგულებულს, ერთ ვერსზე ვერ მიეკარები, მისი მოურავი იაკინთე იაკინთოვიჩი—თუ სარფას არასა ხედავს, არც კი დაგელაპარაკება. მისი თანაშემწე, ნასწავლი—მებაღე კლაპიტონ ფედოროვიჩი, ტყუილების გუდაა, ბაქია და კურდღლივით მხდალი. მისი ღირსეული მეუღლე ტერფსიხორა გალაქტიონოვნა მარტო ენა-პირად არის გადაქცეული, დასწოლია ოხერ ქონებას და ეშმაკურის თვალების ჰუტვით ქმარსაცა და მის მოურავს ყინულზე ასურებს. აბა, რა უნდა ჰქმნას მათმა გადამკიდე ადამიანმა? ცის ამარა დღეს ვეხვეწები: მიიღეთ მეთქი თქვენგან გამოწერილი ავეჯი, ფული მომეცით, რომ მეც პირნათლათ წარვსდგე ჩემის ფირმის წინაშე, მაგრამ შენც არ მომიკვდე.

— მოიცადეთ, ჯერ კრებულმა მოიწონოს, მერე უფროსმა დაამტკიცოსო, მერე უმცროსმა ჩასწეროს, გადასწეროს, გადმოსწეროს. ათასი ჯანდაბა და დოზანა. კიდეც ამ ქაღალდურმა თვალთმაქცობამ დაღუპა ქვეყანაო,—გაჯავრებით დააბოლავა დომ და ზიზღით გადააფურთხა.

— მაშ რა ჰქმნან, ბატონო! დავუსხი ცეცხლზე ნავთი მეც. მაგათ საქმე კი არ აინტერესებთ, აინტერესებთ თავიანთი ჯიბე, თავიანთი მოსვენება. . ხოლო, რომ მუქთახორობაში გაატარონ დრო და თან საკვები იშოვონ, ათას გვარ ხრიკს იგონებენ, ათასგვარ შევიწროება დამცირებას აყენებენ თავისზე დაბლებს.

— აბა, გახედე ამ დიდებულ ბაღსა მეთქი მივუთითე დოს—ბაღს პატარძალივით მორთულ მოკაზმულს ძვირფასის მცენარეებით, სუროებით, ყვავილებით, ამ მშვენიერ დაქვიშულ ბილიკებს, დიდებულ აუზებს, კოშკია სახლებს, ეტლებს, მდიდრულათ მორთულ ვაჟბატონ ქალბატონებს ‌— მერე შეხედე იმ დაცხავებულ, საქათმის მსგავსსა ვიროთაგვებით სავსე ქოხმახებს—მუშების ბინებს:—გახედე იმ ჩამოყვითლებულ და დახეულ-დაფლეთილ მებაღეებს, მთელი დღე ბატებივით დაჩოქილნი ბილიკების პირად ბალახს რომ სწიწკნიან და ყვავილებსა რგავენ, და მაშინ მითხარი, აქვს თუ არ სინიდისი, საქმის სიყვარული „ნასწავლ-მებაღეს“, კლაპიტონას, რომელიც ქინაქინის ნერგს მარწყვის ნერგიდან ვერ არჩევს და რომელიც ჯალათივით კი დასდგომია თავზე იმათ, ვისიც ოფლითაა მორწყული ეს მშვენიერი და კეკლუცი ბაღი, თვითონ მთელი დღე უქმადაა გდია, თვითონ სამა ოთხა თუმანს იღებს წელიწადში და მუშებისათვის კი ერთი საათის მოსვენებაც კი შურს, ხოლო მისი მორთულ-მოკაზმული ცოლი-ეტლით რომ ჩაუქროლებს ხოლმე წელში გამწყდარ მებაღეებს-უნდა ნახოთ რა მედიდურათ უბღვერის, რა ტუჩ აპრუწვით შეჰყურებს, მოწიწებით სალამის მიმცემ მუშებს.

— ნეტა არ მინდა ხმა ამოიღონ თავიანთი ყოფა ცხოვრების გაუმჯობესობა მოითხოვონ, ჩვენ ეგენი გავაბედნიეროთ, უბრალოთ ყაზახი თვეში 15—20 მანეთს იღებს—მეტი რა ნებავთო—მითხრა იმ დღეს პატივცემულმა ტერფსიხორა გალაქტიონოვნამ და შემომფიცა ერთი ბეწვა უკმაყოფილების გამოცხადებისათვის, მე თვითონვე ვსთხოვ მის მაღალ კეთილ-აღმატებულებას აქედან გადაასახლოს, დასტანჯოს, გაროზგოსო!

საზიზღარს, ასე, ჰგონია ქვეყნის გადაბრუნება შეუძლია ..

— Ну ее къ чорту! .. გამაწყვეტინა დომ. ერთხელაც იქნება თავის თვალთმაქცობით თავს წაჰკრავენ, აბურგანს ამოჰკრავენ და მარტო მაშინ გაიგებენ, რა მწვავეც არის სხვის დამცირებაო.

ამ დროს, შორს ზღვის სივრცეში გემი გამოჩნდა მე და დო ძალაუნებურათ შევაჩერდით ამ გემს და გავჩუმდით.

— ჰა, ჰა, ჰა! მოულოდნელად ცხენივით დაიხვიხვინა ბ-ნმა დომ.

მე შევკრთი რა გაცინებს—მეთქი? შევეკითხე.

— გამახსენდა როგორის ხრიკებით ვიგდე ხელში ერთი თვალსაჩინო ფირმ თი .. ამათაც ის დღე უნდა დავმართ ამიხსნა ბატონმა დომ, მერე კიდევ გად ხარხარა, სული მოითქვა და დაიწყ „ჩვენ, კომისიონერებსა და ფირმის წა მომადგენლებს სწორედ მგლის ჯ გვაქვს და სვავის ბუნება: სადაც კი გა ჩნდება ხოლმე რამე საფოდრატო, რ გორც ორბები მოვფრინდებით და კვ ლეშზე ერთმანეთს თავ-პირს ვაკაწრავ სასტიკ მეტოქეობას ვუწევთ. ღმერთის წ შე არც კი ფოდრატის გამცემლები არი ჩვენზე ნაკლები ბიჭები. იმათ კარგ იციან, რომ, რაც უფრო მეტი მეტოქ მით უფრო მეტის გამორჩენა შეიძლე და, უფროსიდან დაწყებული უნცრო მდე. სულ თვალებს აბრიალებენ... შედარებით, ჯერ სულ ყმაწვილი კა ხარ და არც გეცოდინება საჭირო ხრიკ ბი. ან კი რა შენი საქმეა.—ხოლო მე ძაღლის ძვლები მაქვს გამოხრილი ამ ს ქმეში. მადლობა ღმერთს, მთელი ოცი ლიწადია, ჩვენ ფირმას ვემსახურები!...

— ერთ ქალაქში დიდი ფოდრატი ასალები. მაშინათვე იმ ქალაქში გავჩნ აღლომ მითხრა, რომ მე დამრჩებოდა დავიწყე ნიადაგის მომზადება... უნდა გახსენო, ჩემო ბატონო, რომ საქმის და წყებისას თავისს დღეში პირდაპირ უფრო არ უნდა მიჰმართო. უფროსი, ამ მთხვევაში, მიუკარებელი და ფიცხია. თის შებღვერით, ერთის შეტევით საქმეს ჩაფუშავს, დალაგებული და წყობილ გეგმებს გაგიმტვერებს. საქ დაბლიდან, უმცროსებიდან, თუნდაც მოსა მსახურიდან უნდა დაიწყო . თუ დაჰკვი ვებიხარ, ოჯახის გამაბიაბრუებელი მოსა მსახურეა. ამან ოჯახის გარემოება ყვე ფერი კარგათ იცის და, თუ გინდა რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ული სტუდენტები იქ სათანადო ატე-...ტს წარადგენენ, ე. ი. როგორსაც ...ნენ იმპერიის სხვადასხვა საშუალო ...წავლებელთა კურს დასრულებული ...ლენტები.

...ნქვა აღნიშნავს, რომ ყოველ წელს ...ლის ფულის შეუტანლობის გამო ბე... სტუდენტი მეცადინობას სწყვეტს, ...მ საჭიროა, მთავრობამ დააარსოს ...უთრებული სანაბი ფონდი, რომელიც ...მარებას გაუწევს ღარიბ სტუდენტებს.

...რკვდა მეორე იმეორებს, რომ ჩვენი ...ლების მინისტრი უმაღლეს სასწავ-...ებში ხელმძღვანელობს საშუალო ...ტ-კით, მან ებრაელებით აავსო ...ლესი სასწავლებლები, რომელნიც ...ოდ, იმიტომ შედიან იქ, რომ სამ-...ო ბევრას გაექცნენო

(შემდეგი იქნება)

ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

გუბერნატორის გამგზავრება

...თაისის ვიცე გუბერნატორი პოლკო-...ვნიცელი გუშინ დილის მატარე-...თ გაემგზავრა თბილის სამსახურის გამო ...ოვალეობას დროებით შეასრულებს ...ნო პალატის მართველი საბრიევსკი.

...ლექცია. შაბათს, 19 მარტს, ელექ-...თეატრ „რადიუმში" გიორგი ნიო-...წაიკითხავს ლექციას შემდეგს თე-...ოსმალეთი. ლექციის პროგრამა: 1 საი-...მოვიდნენ ოსმალები? ძველებური მა-...მართვა გამგეობა და მიწა წყალი. ...ლი კონსტიტუციისათვის. დღევან-...ო წეს წყობილება. ოსმალთა ზნე-...ლება. ოჯახის მოწყობილება და მისი ...ური მცხოვრება. ქალაქის ცხოვრება. ...ლთა გასართობი. როგორ ატარებენ ...სასწაულს. ოსმალოს დაბადება და ...ი. როგორ ხდება ბავშვის მონათლა, ...ს ნახვა, ქორწინება მიცვალებულის ...ულავება? 2 როგორ უყურებენ ...ოსმალეთში? არამხანა და მასში ...ქალების ცხოვრება. მრავალ-ცო-...ობა და მისი ცუდი შედეგები. ის ...მაჰმადი. ყურანი. სამოთხე, ჯოჯო-... შეიჰ ულ ისმალი. დერვიშები და ...ები. ოსმალთა ღვთის მსახურება. სწა-...განათლება და სახელმწიფოს ახალი ...ვა-გამგეობა.

...ქუთაისის პირველ დაწყებითი სკო-...სამზრუნველო კომიტეტი სთხოვს ...ის გამგეობას, დაუთმოს ქალაქის ...ნო ბაღი 26 აპრილს საირნობის ...მართავად ამავე სასწავლებლის სასარ-...ოთ.

...სკობელევის კომიტეტი სთხოვს ქალაქის გამგეობას დაუყონებლივ გადაუგზავნოს ჯარის კაცთა საჩუქრებისათვის მოგროვილი ფული.

◆ ს. ნ. ქუთათელაძეს აზრათ აქვს იჯარით აიღოს სოჯახო ბაღი, სადაც გაიმართება სეირნობა და კაბარე, აქვე იქნება სასადილო რესტორანი.

◆ სახელმწიფო ქონებათა მთავარ სამმართველოსაგან ქუთაისის განყოფილებამ ცნობა მიიღო, რომ ის ადგილები, რომლებიც მიატოვეს ქართველმა მაჰმადიანებმა ართვინის ოლქში, ისევ დაუბრუნდებათ მათ დასასახლებლათო

◆ როსტოვის ბირჟის კომიტეტისაგან ქალაქის თვითმართველობამ დეპეში მიიღო სადაც იტყობინებიან, რომ პურის ფქვილი № 4 ღირს 13 მან. № 5 12 მან. 46 კ. და № 6 12 მან. 25 კ.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის მთავარმა სამმართველომ გამოსცა ახალი წესი, რომელიც შეეხება საზღვარ გარეთ დეპეშების გაგზავნას.

◆ ქალაქის გამგეობამ 4 ათასი მანეთი გადასდვა გადამდებ სენიანთა საავადმყოფოს მოსაწყობათ

◆ ქალაქის ქუჩების მოიჯარადრე უკვე შეუდგა ჯაჭვის ხიდიდან წითელ ხიდამდი ქუჩების მოკირწყვლას.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ აცნობა უბნის ბოქაულს: აუკრძალოს სერგო ლომიძეს რკინის გზის სადგურთან მაზუთისთვის აუზის გაკეთება.

◆ შიო მღვიმელის დილის მომწყობი კომისია, შაბათს, 19 მარტს, ქალაქის თეატრში გამართავს პირველ რეპეტიციას.

◆ ქალაქის გამგეობამ შეუსწორებლათ მიიღო სასურსათო კომისიის დადგენილება და გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლათ. ამ დადგენილებით გირვანქა ხორცი უნდა გაიყიდოს 25 კაპიკათ.

◆ სამშაბათს, 15 მარტს, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში ქ-ნ ვარდოსანიძის ასულის თავჯდომარეობით მოხდა ქუთაისის ქალთა საზოგადოების წევრთა კრება. ამ კრებაზე უნდა აერჩიათ თავის წარმომადგენელი კულტურულ დაწესებულებათა კავშირში ბარათების დათვლის დროს აღმოჩნდა, რომ ზოგზე ეწერა 7 ზოგზე 2 პირი. ასე რომ ამ დღეს არჩევანი არ მოხდა. წარმომადგენლების ამორჩევა შემდეგისათვის გადიდვა.

◆ ჯარიმის შეწერვა. ქუთაისის გუბერნატორმა ხელახალი გამოძიება დაუნიშნა ქუთაისის ფქვილის მოვაჭრე იოსებ შაბათის ძე კაკიტელაშვილს, რომელიც დაჯარიმებული იყო 500 მანეთით ფქვილის ნიხრზე ძვირად გაყიდვისათვის. თვის.

◆ 20 მარტს, ქუთაისის ქალაქის თეატრში პეტროგრადისა და მოსკოვის თეატრის გამოჩენილი არტისტის ლ. ს. ჩიუკოვის მონაწილეობით გაიმართება კონცერტი

◆ სამიწათ მოქმედო სამინისტროს სასოფლო სამეურნეო სასტატისტიკო განყოფილების კორესპონდენტი ს. ბზვანის (ქ. მაზ) მცხოვრები ნიკოლოზ გოგორიშვილი დააჯილდოვს 3 ხარისხის სტანისლავის ორდენით.

◆ თანახმათ ქუთაისის წვრილი კრედიტის კომიტეტის ცირკულიარისა, ქუთაისის სახელოსნო საურთიერთო ამხანაგობას დაერქვა შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობა.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა სამი თვით ციხეში ჩაჯდომა გატაუწყვიტა ს. სიქთარუას (შორ. მაზ) მცხოვრებს დავით სპირიდონისძე შოთაძეს. მას ბრალდება ავაზაკების დამალვა და ხელის შეწყობა. ქ. ქუთაისის ხორცის ვაჭარი მიხეილ პეტრესძე ჯავახაძე ხორცის ნიხრზე ძვირად გაყიდვისათვის ორი კვირის ციხეში დატუსაღებით.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა ფქვილზე ფასის მომატებისათვის 25 მანეთით ან ერთი კვირის ციხით დააჯარიმა: დ. ხონის ვაჭრები: 1) ერისტო იგ ჭანჭურაძე 2) პავლე ივან. ხხენკელი, 3) ბესარიონ კონ ნადარეიშვილი, 4) იოსებ გიორგის ძე ბახტაძე, 5) ნიკიფორე ვასილის ძე ხხენკელი და 6) სამსონ გაბისონია.

სომხეთა შორის.

სომხების მომავალი ყრილობა პეტროგრადში. სომხების დეპუტატის პაპაჯანოვის შუამდგომლობით სომხებს ნება დართეს, რომ სომხის ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა გამართონ პეტროგრადში. კრებამ სომეხ გადმოხვეწილების მდგომარეობა უნდა გამოარკვიოს და მათ საშველათ შესაფერი ზომები შეიმუშაოს

ს ო ფ ლ ა დ.

— ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა დააარსონ მომხმარებელი საზოგადოებები შემდეგმა სოფლებმა: ს. წალენჯიხის (ზუგ მაზ). „სინათლე" ს უშაბათის (სენაკ მაზ). სიმართლე" ს სუჯუნა (სენ. მაზ]. „რწმენა". ს შუაჯურკვეთი (ოზ. მაზ) „კავშირი". ს. დიდი ჯიხაიშის (ქუთ. მაზ) მცხოვრებლებმა ს. ლორთქიფანიძემ და ალექსანდრე ლეჟავამ შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ამხანაგობის დაარსების შესახებ.

— ქართველთა შორის. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ლანჩხუთის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართონ გახსნას ს. ეწერში (ოზურ. მაზრა) უფასო წიგნ-საცავ სამკითხველო ნესტორ ესტატეს ძე ჰუონიას პასუხის მგებლობით.

შაბათს, 19 მარტს, ელექტრო თეატრ „რადიუმში"

— გიორგი ნიორაძე —

წაიკითხავს ლექციას

ოსმალეთზე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მეფე ერეკლე მეორის გასამართლება.

სამშაბათ საღამოს ქართული თეატრის დარბაზი ხალხით აივსო.

ამ დღეს ასამართლებდენ საქართველოს ცნობილ ისტორიულ პირს მეფე ერეკლე მეორეს.

დამსწრე საზოგადოება ერთსულოვნათ საკმაოთ დაინტერესებია სამსჯავროს წინაშე მჯდომ „პატარა კახის" გასამართლებას. სამსჯავროს თავმჯდომარეობდა ჩვენი პატივცემული მოღვაწე იონა მეუნარგია.

მეფე ერეკლეს ბრალს სდებდა ალ. წერეთელი, იცავდა მას ნაფიცი ვექილი გიორგაძე

ირაკლის გასამართლების პროცესი შემოფარგლდა ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლი"-ს მიხედვით.

სასამართლოს მდივანმა სტუდენტმა ილარიონ ელენტმა, წაიკითხა ბრალდების მოკლე ოქმი, სადაც აღნიშნა მოკლეთ ირაკლის ბიოგრაფია, მისი მოღვაწეობა და ის ბრალდების მუხლი, რომ ერეკლემ თავის წინ დაუხედავი ნაბიჯით საქართველოს თავისუფლების სხვისდამი გაბოძებით დიდათ შეაფერხა ჩვენი წინ სვლა და აღორძინებაო.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა ბრალმდებელმა ალ. წერეთელმა, სადაც მან მოკლეთ და ყველასათვის გასაგებ უბრალო ენით აღნიშნა, რომ ერეკლე მეორე მიუხედავათ იმისა, რომ იყო დიდებული სარდალი, ბრძოლის ველზე და უფასებელი, ამავე დროს მისი გონება პოლიტიკურ დარგში სრულიად [illegible] და წინდაუხედავი, უგამჭრიახო [illegible] ბ. ალ წერეთელმა მოიყვანა [illegible]ტკიცებელი რამდენიმე საბუთი, მაგ იმერთა დესპანების ხლება ერეკლესთან, რომ მას შეერთებია იმერეთის სამეფო, რომელი წინადადებაც ერეკლე მეორემ მხოლოდ და მხოლოდ პირადი მოსაზრებით და თვითნება მეუღლე დარეჯნის ზეგავლენით უარჰყო. აგრეთვე მან აღნიშნა ის უზომო ომები, რომელიც გადიხადა სახელოვანმა სარდალმა და რომელსაც საქართველოსთვის უმეტეს შემთხვევაში დასტუება ზარალის მეტი არა მოუტანია რა და ამრიგათ ბრალმდებელმა ამცნო საზოგადოებას, რომ გმირი ერეკლე ეს ბრძოლის ველზე ღმერთად მოვლინებული ადამიანი, სამეფოს სხვა დარგის მართვა-გამგეობაში სრულიად წინდაუხედავი და უგამჭრიახო იყო, რომლის ნამოქმედმა საქართველოს დიდი ზიანი მიაყენაო ამიტომაც იგი სამჯავროს წინაშე როგორც პოლიტიკოსი დანაშაულათ უნდა იქმნას აღსარებულიო.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ერეკლეს დამცველმა ბ ნმა გიორგაძემ, რომელმაც დაახასიათა ის ხანა და ის ობიექტიური პირობები, რომელშიც ერეკლეს მოუხდა მეფობა და მოღვაწეობა, ფეოდალურათ დაყოფილ საქართველოში, როდესაც ყოველი კუთხის მმართველი ერთმანეთთან ბრძოლა-მტრობაში ატარებდა მთელ დროს, როდესაც საქართველოს შემოსევოდა სხვა და სხვა ჯურის მტრები,— ერეკლეს უკეთ მოქცევა არ შეეძლო. გიორგაძემ აღნიშნა, ერეკლე იყო რა დიდი სარდალი, ამასთანვე მას არ აკლდა პოლიტიკოსობაც, ვინაიდან მან გადადგმული ნაბიჯით განიზრახა, საქართველოსთვის უკეთეს მომავლის მომზადებაო.

სამწუხაროდ უნდა ავღნიშნოთ, რომ ერეკლეს გასამართლება მხოლოდ განსაკუთრებულ პირობების მიხედვით მოხდა —„ბედი ქართლი"-ს. ასეთი ისტორიული პიროვნების გასამართლება-კი მარტო რომელიმე პოემის მიხედვით სავსებით ვერ გააშუქებს საქმეს. სხვა ისტორიული მასალები ირაკლის შესახებ არავის უხსენებია.

თვით მეფე ერეკლემ (ალ ყალაბეგიშვილმა) აღნიშნა ის პირობები, რომელიც მისმა მსაჯულმა აუწყა საზოგადოებას და განაცხადა, რომ მან საქართველოს საკეთილდღეოთ ეს მოაგვარა, მხოლოდ სხვა თქვენ გევალებოდესთო.

მცირე კამათის შემდეგ სამსჯავრომ განაჩენი გამოიტანა, რომლითაც ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე უდანაშაულოდ იქნა აღიარებული

მიუხედავათ ბევრი ნაკლუვანების, საზოგადოება გასამართლებით მაინც კმაყოფილი დარჩა.

ი. დ—ძე.

გულუხვი გამასპინძლება.

პარასკევს, 14 მარტს, გორაზე, მცხოვრებ №-ს მოსამსახურე, ქალს, საღამოს რვა საათზე ვიღამაც ძახილი დაუწყო. ძახილზე გარეთ გამოვიდა დიასახლისის უნცროსი ქალი ნინო. მას გარეთ დაუხვდა პაწია გოგო, რომელსაც ხელში ეჭირა შამპანიური დაბეჭდილი ბოთლი. ეს ბოთლი გადასცა ნინოს და თან დაუმატა: „კოლიამ V გამოუგზავნა თქვენს დას რიფსიმეს, დღეს ჩამოვიდა რუსეთიდან და შეიძლება ხვალ თვითონ გნახოსთ"-ო. ნინომ, სიბნელეში ეს პაწია გოგო ვერ იცნო, გამოართვა ბოთლი, მადლობა გადაუხადა და ყოველივე ეჭვს გარეშე სახლში შეირბინა. იქ გადასცა ბოთლი დას და ყოველივე უამბო, რიფსიმე ეჭვებმა შეიპყრო, რადგან ორი დღის წინად ამ კოლიასაგან ბარათი მოსვლოდა და მოსვლაზე კი არაფერს იწერებოდა. პირიქით იგი სწერდა „შეიძლება წელს ვერ ჩამოვიდე" ო. ბოთლი გახსნა და ნახა შიგ არა შამპანიური, არამედ რაღაც უცნაური ფერის სასმელი. როგორც შემდეგ გამოირკვა ეს ყოფილა იოდნარევი სულემა, რომელიც ვიღაც ბოროტ სულს, რაღაც ინტერესის გულისათვის გამოუგზავნია. არა ერთჯერ და ორჯერ მოსვლია ამ რიფსიმეს უსახელო წერილებიც, რომელშიაც მოკვლით ემუქრებოდენ. რასაკვირველია, რა დაუშავა ამ ადამიანმა ისეთი ვინმე, რომ სასიკვდილოთ არ ინდობს და ავრე გულუხვად უმასპინძლდება.

თამარ მესხის-ასული

...ოჯახის საიდუმლოება გაიგო, პი-...ად მოსამსახურეს დაუმეგობრდი, იგი ...ძირეგ.

...არა ერთსა ორ ქალბატონს გავარ-...ვარ მოსამსახურის მეოხებით,.. მა-...ეს დარჩეს. ამას ისე, სხვათა შორის, ...ბ. ან კი ვინ მოსთვლის რამდენი ...ს საიდუმლო გამიგია გოგო-ბიჭებ-...ი..

— ჰო .. საქმე თუნდა დიდსა და კე-...განწყობილ დაწესებულებასთანაც ...ქონდეს, დაბლიდან უნდა დაიწყო ...ბ. ყველგან მოსამსახურეთა შორი ...ა, ერთი უფრო დაახლოვებულია ...ე უფროსთან, ან იმის თანაშემწეს-...ან საქმის მწარმოებელთან და სხვა-...ბა.

...პირველად უნდა მოსძებნო ეს კაცი, ...ვერ რასმე გიამბობს, ბევრ სასარ-...ლო ცნობას შეგატყობინებს და მერე ...ცი, მოქმედების რა გეგმასაც შეა-...ს.

...რომ ამ ქალაქში ჩამოვედი, ...ის რიხით და ზეიმით მივადექ ...დაწესებულებას, ვისგანაც დამო-...ბული იყო ფოდრათის საქმე. მი-... იმ დროს კი არა, როდესაც ...ოსი იქ იყო, არა,— იმ დროს, რო-...ც სამსახური თავდებოდა. დალალულ ...ცული მოხელეები მკვდრებივით მო-...უნებოდნენ კიბეზე. კარებში ხალხი ...ოდა. მე გადმოვხტი ეტლიდან და დე-...ანში შევედი, შვეიცარი მომეგება, ...და პალტო და ღიმილით მკითხა:

— თქვენ ვინა გნებავთ... თუ უფრო-...ვ გაქვთ საქმე... აქ არ გახლავთო!

...სამწუხაროთ, დამგვიანებია—მეთქი! ...ხარი შეწუხებულის სახით, ხელები ...ფოდე, პალტო მომართვი მეთქი, უცბათ გადავიცვი და შვეიცარს მანეთიანი ჩავუგდე ხელში.

საწყალი კაცი სიხარულით კელაპტარივით აინთო! .

კარებისკენ სიჩქარით გავწიე რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, ისევ გამოვტრიალდი და მედიდურის, მაგრამ ალერს ნარევის კილოთი ვუთხარი: — გოლუბჩიკ! ვერ მოხვალ ჩემთან ნუმერში? ცოტა რამ საკითხი მაქვს-მეთქი—დავეკითხე და სადარბაზო ბარათი გავუწოდე.

— გიახლებითო, დამპირდა და მეც მოვშორდი.

რაღა ბევრი გავაჭიანურო, ამ შვეიცარის მეოხებით დაწვრილებით გავიგე, რომელი მოხელე რა უფლება—უპირატესობისა და ხასიათისა იყო, ან რაგვარ უნდა მენახა უფროსი.

მეორე დღეს პირდაპირ კანცელარიაში ავედი, გამოვიხმე საქმის მწარმოებლის თანაშემწე, რომლის სახელი, მამის სახელი, გვარი და ხასიათის თვისება უკვე ვიცოდი და დიდი ბოდიშის შემდეგ შეწუხებისათვის, ფოდრათის მდგომარეობა გამოვკითხე.

— ფოდრათი, მგონი, კიდევაც გასცესო! — მითხრა საქმის მწარმოებლის თანაშემწემ და ისე დაიღრიჯა, თითქოს მართლა ძლიერ სწყენოდეს.

— თუ შეიძლებოდეს ნამდვილათ გამიგეთ-მეთქი, დავეღრიჯე მეც და თვალებით ვაგრძნობინე, რომ გასამჯელოს არ დავიშურებდი. ეს დღეც ამით დავასრულე.

მეორე დღეს უკვე იყო და მე და პეტრ პეტროვიჩი ერთს დიდებულ სასტუმროში შევეყარენით, სადაც იგი მე სადილათ დავიპატიჟე. . ძაან გადავეკვრევენ. კაი ფულიც დამიჯდა ეს სადილი, მაგრამ კაი საქმეც კი გავაკეთე მე უკვე ვიცოდი, რომ იმ დაწესებულების უფროსი, რომელსაც ფოდრათი უნდა გაეცა, ამ პეტრ პეტროვიჩის ცოლს... ჰყვიროდა, და გადავწყვიტე მეც დავვახლოვებოდი ამ ქალს —

თუ ქალს ერთი საყვარელი ჰყავს, მეორესაც მალე გაიჩენს... როცა კარგათ გადავხუხეთ და ბრუდერშაფტი დავლიეთ, პეტრ პეტროვიჩსა ვსთხოვე: რადგანაც აქ მთელი ორი თვე მომიხდება ყოფნა, გთხოვ, თქვენ სახლში მომეცით ბინა, ხარჯი-ხარჯია და ბარემ ყოველთვის ერთად ვიყოთ-მეთქი პეტრ პეტროვიჩს ძლიერ ესიამოვნა. მართალია, სუფთად სცხოვრობდა, მაგრამ მაინც ხელმოკლე, უხასიათო კაცი იყო მოვრიგდით. პეტრ პეტროვიჩის უერთგულეს ცოლისაგან — მარია ივანოვნა ერქვა სახელად — დასტური ავიღეთ და, ორი თუ სამი დღის შემდეგ, რუდაკოვისას დავბინავდი. ახლა უკვე ვიცოდი, რომ ფოდრათის საქმე ჯერ გათავებული არ იყო. ჩვენი ჯურის ჰილეკავები იმდენი მოფენილიყო, რომ თავის მეტოქეობით საქმის გადაწყვეტას აგვიანებდნენ.

მარია ივანოვნა დიდი მხიარული, არშიყი, სმა-ჭამისა, ლხინისა, სამკაულებისა და ჩაცმა-დახურვის მოტრფიალე გამოდგა. არც მე გახლავართ ენა—ბლუ, დაბდური, პურა-ძვირი და ამიტომ მარია ივანოვნას მალე დავუახლოვდი... შემიყვარა გაგიჟებით, თუ, რასაკვირველია, იმ გვარ ქალს სიყვარული დაეჯერება, და მეც ისე ვაჩვენებდი თავს, თითქოს უიმისოდ ლუკმა ველარ ჩამედო პირში.. შევიყვარე მარია ივანოვნა და... საქმეც მოეწყო!...

— მარია ივანოვნა, უფროსთან საქმე მომიგვარე— მეთქი.

უფროსმა მარია ივანოვნას ხათრი ვეღარ გაუტეხა და ერთ მშვენიერსა და ჩემთვის ბედნიერ დღეს სამოცდა ხუთმეტი ათასი მანეთის ფოდრათი კი გამოვკარ... ბევრი ფული კი დამეხარჯა, მაგრამ განა ცარიელის ხელით და წუწურაქობით საქმეს გააკეთებს ვინმე? — დაასრულა დომ თავისი ლაპარაკი და ეშმაკურათ, ნეტარად ჩაიხითხითა

— არა, ძმავ, მე მაგას ვერ მოვახერხებდი მეთქი. გულ-წრფელად ვუთხარი მე.

— შენ მაშ საქმის კაცი არა ყოფილხარო.— ანდერძი ამიგო დომ

— იქნება იმიტომ ეკურკურები — ეს ვილაც ქალებია—მეთქი? — დავეკითხე უსიამოვნობის თავიდან ასაცილებლად.

— Ну ихъ къ шуту!.. ისინი საავარაკოთ, მოსარჩენათ არიან მოსულნი... ქმრები მობეზრებიათო. . ორ აზროვანად ჩაილაპარაკა დომ!

— ეხ! უცბად წამოიძახა დომ! და ყურები აცქვიტა.

— მოდის!.. ამ დროს გვერდით ჩამოგვიარა ფარშავანგივით გაფხორილმა ტერფსიხორა გალაქტიონოვნამ. ბ-მა დომ ცმუკვა დაიწყო . ერთხან აზმუკუნდა, მერე ზრდილობიანათ გამომემშვიდობა და ტუსტუსით გამოუდგა უკან. ისეთის მოღიმარე, ბედნიერისა და უმანკო სახით მიდიოდა ბ-ნი დო, გეგონებოდათ, ჯერ ჰეია არ გაულევიძებიაო

მე დიდხანს ვადევნებდი თვალს, ვიდრე ხელი ხელს გაყრილნი ტერფსიხორა და ალექსანდრე ბუჩქებს არ მოეფარნენ.

ტყემ შთანთქა იგინი

ია ეკალაძე.

საფერშლო სკოლები.

ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან საყვედური საყვედურზე გაისმის უექიმობით ქართველი ხალხი დიდ გასაჭირში არისო. ასეთი ჩივილი და გოდება სრულიად სამართლიანია. მართლაც, სოფლად, უექიმობის გამო, დიდად შეწუხებულია ხალხი. მთელს საქართველოში ოთხ-ხუთს სოფელსაც ვერ ნახავთ რომ შიგ მუდამ ექიმი სცხოვრობდეს. ეს დალოცვილები არა, თუ სოფელს, დაბებსაც ვეღარ კადრულობენ და სულ ქალაქებში არიან თავ მოყრილი. ქალაქიდან კი ექიმის წაყვანა ყველა სოფელს არ შეუძლია. ამის მიზეზი უფულობას გარდა, ისიც არის, რომ ბევრი ჩვენი ქვეყნის სოფელი, განსაკუთრებით ზამთრობით, უგზოობით სრულიად მოწყვეტილი არიან ქალაქებსა და დაბებს. ვიდრე სოფელი მუდმივ ექიმს ეღირსებოდეს, ბევრი წყალი ჩაივლის და ბევრი გაუხარებელი საწყალი სოფლელი, განსაკუთრებით ხელ მოკლე გლეხი უდროოდ წუთი სოფელს გამოესალმება რომ ეს ასე არ მოხდეს, უპირველესი ჩვენი საზრუნავი ისაა, რომ ყოველ სოფელს თუ არა, მიუცილებლად ყოველ სასოფლო საზოგადოებას მაინც თავის საკუთარი ფერშალი მიუჩინოთ. თუ კი სოფლის უსკოლოდ და უსამკითხველოდ დატოვება მომაკვდინებელ ცოდვათ მიგვაჩნია და ასეთ სოფელს ჩამორჩენილად ვსთვლით, რატომ ასევე არ ვწუხვართ, როდესაც ჩვენი ლამაზი სამშობლოს სოფლები უფერშლოდ და უექიმოდ სულს ლაფავენ და იტანჯებიან. ნუ თუ ერთხელ მაინც არ წაგვიკითხავს დედა-ენაში „ღმერთმა მაღლიდან გადმოიხედა და ასე სთქვა ქვეყანაზე ბევრი ჩემი უნებური მკვდარი არისო“ ეს თქმულება ეხლა სოფლელებმაც მშვენივრად შეიგნეს, მაგრამ უექიმობა სტანჯავსთ და რა ჰქნან ყველა სოფელს, რომ თავის საკუთარი ფერშალი ეყოლება, მერწმუნეთ, რომ ჩვენში ასე ხშირი აღარ იქნება, განსაკუთრებით, ბავშვების სიკვდილი რა არის ამისათვის საჭირო? ყველაზე უწინ საფერშლო სკოლები უმაღლესი პირველ დაწყებითი სკოლები, რომლებიდანაც არც ბარი გამოდის და არც ნიჩაბი, სოკოებივით მრავლდება ჩვენში. მისი გახსნისათვის ჩვენებური ორკლასიანი სკოლების მართველნი ენერგიულ აგიტაციას ეწევიან, მიმოსვლისათვის საკუთარი ფულის დახარჯვასაც არ ნაღვლობენ და საფერშლო და სამეურნეო სკოლების გახსნისათვის, არც ისინი და არც სხვა კრინტსაც არ სძრავენ. მთელს საქართველოში, როგორც ვიცით, მხოლოდ ერთად ერთი საფერშლო სკოლაა და იქ კურს დასრულებულნი ვის უნდა გახვდენ? აი, ამიტომაც არის, რომ ჩვენ სოფლელ გლეხს ფერშალიც ექიმსავით სანატრელი გახდომია და დაჭირვების დროს ძნელად შოულობენ. ჩვენ კეკლუც ქვეყანას, მსგავსად მასწავლებლებისა, როდესაც ფერშლები მოეფინება სწავლა აღზრდის საქმეც ერთი ორად ამაღლდება და გაიზრდება, დღეს თითქმის სასკოლო ბავშვების ნახევრობა ავადმყოფობას გინიცდის და ძრიელაც სწყუროდეს მათ სწავლის მიღება, მაინც ვერ განიხორციელებენ თავის სურვილს. საღს სხეულში საღი სულია საჭიროო ნათქვამია. მაშ ვეცადოთ ჯანმრთელობის მასწავლებლებიც გავამრავლოთ ჩვენ ტურფა საქართველოში საფერშლო სკოლების გახსნით

მ. ბუაჩიძე.

სუხომლინოვისა და სხვათა საქმე.

რუსეთის სამხედრო მინისტრათ ნამყოფი სუხომლინოვი ამ ჟამათ პასუხის გებაშია მიცემული. მასთან პასუხის გებაშია მიცემული მთავარ საარტილერიო სმმართველოს უფროსი გენერალი კუზმინ-კარავაევი ხსენებულ პირთ ბრალდებათ სახელმწიფოს ღალატი, მებრძოლ ჯარისთვის სასროლ მასალის არმიწოდების სახით. მათვე ბრალდებათ დიდძალი ფულის გაფლანგვა, ვითომ და სამხედრო მასალების მოგვარების საქმისთვის, მხოლოდ იმ დროს კი, როდესაც უტყვიაწამლოთ დარჩენილი რუსის მხედრობა კარპატებს სტოვებდა, ისინი ამ მოვლენას ოდნავათაც არ დაუფიქრებია.

მაგრამ ბოლოს სინამდვილემ მაინც თავი წამოჰყო და დღეს ეს დიდი მოხელეები პასუხის გებაში მისცეს. სახელმწიფო საბჭომ მათი საქმის გარჩევა გადასწყვიტა. მეფემ ხსენებულ პირთა ორ სინასწარ ჩვენების ჩამორთმევა მიანდო სენატორ კუზმინს.

პროვინციის ცხოვრება.

ს. ჯგალი (ზუგდ. მაზრა). ს. ჯგალი მდებარეობს დ. ზუგდიდიდან 29 ვერსის მანძილზე კულტურული დაწესებულებით ეს სოფელი სხვა სოფლებზე ჩამორჩენილი არ არის: აქ არსებობს ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, წვრილი კრედიტის ამხანაგობა და კოოპერატიული დუქანი. რამოდენიმე მოწინავე პირების შემწეობით აღძრულია საკითხი დაარსონ ეგრეთ წოდებული—საფერშლო პუნკტი, რადგანაც დ. წალენჯიხის ქსენონიდან ეს სოფელი დაშორებულია. ეს სოფელი შესდგება რამოდენიმე ასი მოსახლისაგან, ამიტომ სასურველია სავაჟო სკოლასთან აშენდეს ცალკე საქალებო სასწავლებელი. სასურველია აგრეთვე ადგილობრივმა ინტელიგენციამ შეეცადოს უფასო სამკითხველოს დაარსებას.

ქტნა.

ს. ხობი (ზუგდ მაზრა). სოფელ ხობის ძველთა ძველ მამათა მონასტერს, დღემდე არ მოვლინებია ისეთი წინამძღვარი როგორიც დღეს ეს ჩვენი შრომის მოყვარე „შიო“. ეს კურთხეული და ცხონებული ბერია, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ლეონიდის მიერ იქნა გადმოყვანილი ხობის მ. მონასტერში ილუმენად სოფ. მარტვილის მ. მონასტრიდან 1915 წელს. ბერი მოხუცი, ყოვლად პატიოსანი, შრომისა და ოფლის მოყვარე; მას არაოდეს არა სცალიან, მისი მოცლა და მოსვენება ღვთის წირვა და ლოცვაა, დანარჩენ სხვა დროს იგი ანდომებს მუშაობას: მუდამ ხელში უჭირავს თოხი, ბარი, ნიჩაბი და კირკა,—ათასნაირ ნერგს და სხვა და სხვა მის მიერ ნამუშევარს ნახავთ მონასტერში. ყოველი მიმავალი მოგითხრობს შიოს შრომის შესახებ,

ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს დაუღალავი შრომისათვის,

ნაბადახადი

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პარიზი. 13 მარ. ჰავასის სააგენტო იუწყება: პირველი სხდომა შეთანხმების სახელმწიფო ფოთა წარმომადგენლებისა კონფერენციისა მოხდა დილით. სხდომას დაესწრო რვა სახელმწიფოს წარმომადგენელი; ბელგიისა, სერბიისა რუსეთისა ინგლისისა იაპონიისა და პორტუგალიისა. კონფერენციის სხდომა მოხდა დახურულ კარებში, მაგრამ პირველ სხდომაზე თათბირის შინაარსი მაინც ნათელია, იგი შეეხებოდა სამხედრო მოქმედებას და ამ მოქმედებისთვის სათანადო თანხის გამონახვას, საბოლოო გამარჯვების მისაღწევათ.

გემის დაღუპვა.

ლონდონი. 13 ათას წყალწყვიანი გემი „მინეაპოლისი“ დაუღუპვიათ, მის შემადგენლობიდან 11 კაცი დაიღუპა.

სამი ჰიდროპლანი დაიღუპა

ლონდონი. ოფიციალათ იუწყებიან გერმანიის სანაპიროებზე (შლეზვიგ-გოლშტინზე) გაფრენილი ინგლისელთა ჰიდროპლანებიდან აღარ დაბრუნებულა.

ლონდონი. დაღუპულ გემ. ,,მინეაპოლისზე მყოფი ამერიკელები გადაურჩენიათ დაღუპულა 12 ინგლისელი.

ვაშინგტონი. ვაშინგტონის ოფიციალ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმაა გამოწვეული გემების დაღუპვის ისევ გახშირების გამო. სხვათა შორის სწყდება საკითხი გერმანია ამერიკის შორის დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. ევროპის პრესა ჰგონებს, რომ პრეზიდენტი ვილსონი ასე ადვილათ არ გადადგამს ამ დიათ სახელმწიფოებრივ ბედიღბლის მღალადე ბელ ნაბიჯს, ვინაიდან გერმანიასთან დიპლომატიურ კავშირის შეწყვეტა მოასწავებს მათ შორის ომის გამოცხადებას.

ლონდონი დაიღუპა გემი „ენგლინერი“ შემადგენლობა გადაარჩინეს.

ბუქარესტი. აგენტი პოლკოვნიკი ტატირინოვი მცხოვრებლებმა კარიის პრინცათ აღიარეს და რუმინიის მეფემ მას ხანგრძლივი აუდიენცია გაუმართა.

ლონდლნი. რეიტერის სააგენტოს ცნობით პრემიერი ასკვიტი ამ დღეებში რომს წავა:

კოპენჰაგენი. დასავლეთ ირლანდიაში საზღვაო ბრძოლები დაწყებულა.

ბუქარესტი. სტამბოლისთვის უკანასკნელ ვეცხლის გაჩენას დიდი ზარალი მიუყენებია დაზარალებულა გალათის დაპერის ნაწილი.

მდგომარეობა დაპყრობილ სერბიაში.

დაპყრობილ სერბიის მდგომარეობა თან და თან საზარელი ხდება. მთელი მხარე ნივთიერათ უკიდურეს კრიზისს განიცდის. მტრის მოთარეში რაზმები არ ზოგვენ არც ქრისტიანს და არც მაჰმადიან მცხოვრებთ, ქალები ყველგან გაუპატიურებელია.

ჩინეთის რევოლიუცია.

ოფიციალი პრესა იუწყება, რომ ჩინეთის აჯანყებული თემები მოითხოვენ, რომ იუან შიკაიმ დაუყონებლივ პრეზიდენტობას თავი დაანებოს და აგრეთვე ყველა უსაფუძვლო მღელვარების შემქნელი პირი დაისაჯოს.

პარიზი იტალიელ სტუმრებს ბრიანმა საპატივსაცემო ნადიმი გაუმართა.

საფრანგეთის ასპარეზი

პარიზი. საღამოს ცნობა 15 მარტი სოიმლავრომის მიდამოებში მოკურთან, გერმანელებმა მცირე შემოტევის შემდეგ განიზრახეს ჩვენზე თავდასხმა, მაგრამ ამაოთ არგონებში გრძელდება საარტილერიო ბრძოლა, სხვა და სხვა მხარისა ფრონტისკენ მიმართული ეკსერბონ-ბატელსთან მტერმა სამხედრო მასალის საწყობი აავიფეთქა. პეტენკურის ხაზზე დროგამოშვებით ქარცეცხლისებური ბრძოლაა. სენციელის სამხრეთ აღმოსავლეთით ჩვენ გავანადგურეთ მტრის ერთი სადგური სამხედრო მასალებით და დატვირთულ ვაგონებით.

ბელგიის ასპარეზი.

14 მარტი. ხანგრძლივ სიწყნარის შემდეგ ბრძოლა გაცხოველდა განსაკუთრებით კი ცენტრში.

სტოკჰოლმი. აქ დარწმუნებულნი, არიან, რომ მომავალ საზავო მოლაპარაკებაზე დიდ როლს ითამაშებს ნეიტრალ სახელმწიფონი.

იაპონია.

ტოკიო. ოკიანეს დიდი გემი, რომელიც დატვირთული იყო სამხედრო მასალებით დაღუპულა. პარიზის მომავალ საეკონომიო კონფერენციაზე გადასწყვიტეს ბარონ საკატნის გაგზავნა.

ღია წერილი

იმერეთის სამღვდელოების უკანასკნელმა კრებამ, რომელიც ამა წლის იანვრის თვეში მოხდა, სხვათა შორის, თავის უკიდურეს ნივთიერ მდგომარეობაზედაც იქონია მსჯელობა საქმის ყოველმხრივ განხილვის შემდეგ სამი სამღვდლო სასულიერო პირი ამოირჩია და მათ დაავალა, იმერეთის სამღვდელოების უმწეო და უნუგეშო ნივთიერი მდგომარეობა, მეფის ნაცვლის, დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისათვის, გაეცნოთ და ეთხოვათ სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გასუმჯობესებლად შესაფერი ზომების მიღება. გადის მას აქეთ უკვე ორი თვე და ეს პატივცემული პირები, აღჭურვილნი სამღვდელოების ნდობით, ადგილიდან არ იძვრიან ბევრი დეპუტაცია ამ ამბის გამო, მწუხარების გამოთქმამს და სასოწარკვეთილი აღიარებს—ასე სჯობდა სოფლის სამღვდელოებისაგან ამორჩეულა სადეპუტაციო პირები, რომ ვისაც შეეძლო არ სტკივა ის არც იძახის ვაი ვაით. საკვირველი მოვლენაა ღმერთმანი: გურია სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტაციამ, რომელიც ერთი თვით გვიან იქნა ამორჩეული უკვე თავისი მისია შეასრულა (იხ. „სამშობლოს 310 ნომერი) და იმერეთის ჯერ არსად მიდის არ არის მისული. იმედი უნდა ვიქონიოთ ქუთაისური დეპუტაციის წევრები ქრისტიანულ ანდაზას „მძღარს მშიერიც მაძღარი ჰგონია“ არ გაამართლებენ და დროით შეასრულებენ სამღვდელოების დავალებას.

მ ფირცხნალელი

ანგარიში

18 თებერვალს 1916 წელს გამართულ საქველმოქმედო საღამოისა.

(დასასრული, იხ. „სამშობლო“ № 311.)

გარდა ამისა შემოსწირეს ლატარიის ნავთები, ღვინო, შამპანიური, თევზი, ატლასი, აბრეშუმეული, - პროგრამებისათვის, ვატმანის ქაღალდი—მისაწვევ ბარათებისათვის და სხვა. შემდეგმა პირებმა: ძმ ა. და ი კოსტავებმა, ძმ. გრიგოლიაშვილებმა, ნ და გ. ჭეიშვილებმა, ბაბილუაშვილებმა და კვერნაძემ, ჯავახაძემ, კირ. თათარიშვილმა, ვლ. მათ. კოსტავამ, კირ. გაბუნიამ, პ. გვარამიამ და ს. გეგეჭკორმა, ირაკლი ჭეიშვილმა, ა. მანაგაძემ, ბოკერიამ, ფ. ჩხეიძემ, ძმ. ანანიაშვილებმა, ნარსია და ფიჩხუამ, მაგულიძემ, ი. ფხაკაძემ პაპუაშვილმა, წერეთელმა და ფირცხალაშვილმა. ს. ბოკერიამ, ძმ. კეჭეხიძეებმა, გ. კაშიაძემ, პ. მოსეშვილმა, ი. ჯორჯაძემ, ძმ. კალაძეებმა, ძმ. ბურჯანაძეებმა. ძმ. ტყეშელაშვილებმა, დ. ღუღუნაძემ რ. ჭარხალაშვილმა, მ. რუხაძემ, თეოფილე არაშვილმა, ი. მიქიაშვილმა, ი. ჯავახაძემ, ნ ჯანჯღავამ, პ აბჯანიძემ, მ. ასათიანმა, შუქდინზერმა ვანერმა, ამხ. პალამოვმა, ცერმა. რ. ჯ მახარაძემ, ეგრიამმა, წიქორიძემ, ხზეიძე და მომეთარიამ, გოდოხმა, ასათიანმა, კილასონია და კაპანაძემ, დ. მ. ბეზიაშვილმა, ა ნ ელიგულაშვილმა, ბალანჩივაძემ და კომპანიამ. ა. თვდიდეშვილმა, ჩიკვაშვილმა, პ ბ გაბუნიამ და კომპ. ცინაძემ, უუფარაძემ, გვეტაძემ, ლორიამ, გ. რიჟინაშვილმა, გორდაძემ და წერეთელმა, რაფაელოვმა და ჩიკვეტაძემ, დლოონტმა, ნარეშელაშვილმა. ბეგოვმა, კილასონიამ და ხ. ჯანაშვილმა, კაზაროვმა, კასუმოვმა, რ. გ. რიჟინაშვილის შვილებმა, ძმ ფილიპოვებმა, ქებაძემ, ექსანოვმა, ნ ს. ბარაბაძემ, ძმ. კუზანოვებმა, ი. ჯანელიძემ, უუფარაძემ, რ. გ. დათეშიძემ, სვ. ჩრდ სახლმა ი. გოგილოვისამ, მ. დ. ჭავჭანიძემ, მ. ნ. დათეშიძემ, ა. გ. ბარაბაძემ. ბ. მ ვიშნევსკიმ.

საღამოს წარმატებას ხელი შეუწყვეს: თავ. ი. გ. აბაშიძემ—თავისი მისასალმებელი სიტყვით, მ. ნ. მაჭავარიანის ასულმა როიალზე სუფთა თამაშობით, საპროგრამო ნომრების შესრულებით, აკპანიმენტით და მეორე განყოფილებაში ზედმეტი ნომრის შესრულებით (აღსანიშნავია—მისი უსაყვედურო მონაწილეობა და სპეციალურად ამ საღამოსათვის თბილისიდან ჩამოსვლა); ს. ნ. დარასელმა, რომელმაც დ ა. გოგორიშვილის აკომპანიმენტით მშვენივრად შეასრულა მელოდეკლამაცია; ახალგაზრდა მგოსანმა გ. რუხაძემ—თავისი გულითადი ლექსების წაკითხვით, დ. ი. ხერხეულიძემ—სკრიპკაზე დაკვრით, ქ ქ. ფრიდმა - დარბაზის და კიოსკების მშვენიერად მორთვა—მოკაზმვით, გ პ. მესხმა—პროგრამების მოხატვით და დარბაზის მორთვით; ბ. ზ. მაჭავარიანისამ. მ დ. ჭავჭანიძისა ე დ. კალანდარიშვილისამ, მ. ნ. დათეშიძისამ, გ. თ. რაფაელოვისამ, ი. გ. ეზიკოვისამ, ა. ა. თედიასისამ, გ. ა. ტერენტიევისამ, ქ. მ ფრიკისამ, ქ. ა. ეზიკოვისამ, ნ. სიამაშვილმა, თ გაბაევმა, ქელბაქიანმა, თ თ. მარგველაშვილმა, ქქ-ის ამარილოვებისა, ალიბეგოვებისა და ჭყონიას ასულმა—თავისი პირადი მონაწილეობით პროგრამების, კონვერტების, ლატარიის ბილეთების, ჩაის და შამპანიურის გაყიდვით და სხვ; გ. დ. ნარიმანოვმა და ქ. ნ. ხხატარეიშვილმა თავისი მხურვალე მონაწილეობით შემოწირულებითა შეკრებაში; ქუთაისის გაზეთების, „სამშობლოს“, მეგობარის, „სახალხო ფურცლის“, „საქართველოს“ და „Закавк рѣч“-ის რედაქციებმა—უფასოთ საღამოს შესახები ცნობების მოთავსებით; ქუთაისის საზოგადო საკრებულომ—დაკლებულ ფასში დარბაზის დათმობით; პოლკ. ვ. ა. არტამანოვმა—[illegible] ორკესტრის დათმობისათვის, [illegible] ბილეთების გაყიდვით, როგორც თავის [illegible] ზაში. ასე [illegible] ჩხეიძე—[illegible] მთელმა ქუთაისის პატივცემულმა საზოგადოებამ თავის დასწრებით საღამოზე და თავის მხურვალე და იშვიათი თანაგრძნობით ახალი სასწავლებლისადმი, როგორიცაა დაარსებული ქუთაისის რვა—კლასიანი კომერციული სასწავლებელი. კომერციული სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს მინდობით ჩემ სასიამოვნო ვალად ვთვლი გამოვთქვა გულითადესი მადლობა საღამოს მონაწილეებს დამხმარეთ და ხელის შემწყობთ.

კომერციული სასწავლებლის დირ

თ. კოტილევსკი.

წერილი რედაქციის მიმარ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვ ზეთის საშუალებით კომერციულ სასწავლ არსებულ ქალთა წრის სახელით ღრმა ლობა გამოვუცხადო ქვემოთ ჩამოთვლილ რომელთაც ჯარის კაცთა სასაჩუქრებისათვის მოაწირეს მიტკალი ტილო: რ. კ. მ შემოსწირა 8 მ. და 8 აბაზი, ა. პ. როგ მა—9 მანეთის, დ. იაკობიშვილმა—15 6 შაური, ი. მ. ფიჩხაძემ—19 მ. და 2 ა. ი. ელიგულაშვილმა—38 მ. და 13 დათ მე აღნიშნულ პირთ ღრმა მადლობას ვუცხადებ.

კომერციულ სასწავლებლის დირექტ

თ. კოტილ

რედაქტორი ი. ცინცაძ
გამომცემელი ამხანაგობა „სამშობ

რკინის გზის მიმოსვლ

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან — დილის — 5 ს.
„ — საღამ. — 6½ ს.
ბათომიდან — დღისით — 1 ს.
„ — ღამის — 2 ს.
ფოთიდან — დილის — 10 ს.
ტყიბულიდან — საღამოს — 7 ს.
შორაპნიდან — დილას — 9 ს.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ — დილის — 11 ს.
„ — ღამის — 1 ს.
ბათომისაკენ — დღისით — 5 ს. 30
„ — დილის — 4 ს.
ფოთისაკენ — დღისის — 4 ს.
ტყიბულისკენ — დილის — 6 ს.
შორაპნისაკენ — დღით — 5 ს.

ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში (მიხეილის ქ. საკ.
მიღებულია საუკეთესო საშუალება „ოსტიოკოლ
ღვინის გასაწმენდათ ლექისგან.
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ზომ

სალი კუჭი
ჟელაგარი ექ. ვეზის
ახალი მეცნიერულად შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ვაზბობი მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სის ტის წინააღმდეგ.
ქრონიკული ვაზბობა წვართა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირ ღებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევ კატარისა, გემოთისა, იწვევს სისხლის მოწამლვას, თავის ტკივილებს, მ დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტ ვაზბობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ სავალარათო წამლებს, რომე არა თუ სპობს ვაზბობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.
პრეპარატი ჟელაგარი ექ. ვეზისა აჭარწყლებს კალაგვის მასსას, ახალ ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აწვევს მას ნორმალურ მუშაობას და რად კალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტ რომელიც გამოწვეულია ვაბზობისგან.
ჟელაგარი სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულე ადვილი გადასატანია თვით ჭიუტ ავათმყოფობისაგანაც კი
პრეპარატ ჟელაგარს ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმ ფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალ კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.
დაწვრილებითი ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებ თანავე იგზავნება უფასოთ.
ნამდვილი ჟელაგარი ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში.
იყიდება „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში“ და ქუთაის
ა. პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალ თეატრის პირდაპირ.
ჟელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლ
9 (წლი

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა ალ. —ქუთაისში.
ებადართულია სამხედრო ცენზურისაგ